პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
3 იანვარი
1941 წ.
№ 2 (6007)
ფასი 10 კაპ.

## დღეს გაზეთში:

„სტალინუგოლის“ კომბინატის მაღაროელთა წერილი ამხანაგ სტალინს (1-ლი გვ.).

სსრ კავშირის საბჭოთა კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უკრაინის სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ (მე-2 და მე-3 გვ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს „პრეზიდიუმის ბრძანებულება № 1 ავიაქარხნის დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვ.).

ო. გოროდოვიკოვი — ალექსანდრე პარხომენკო (მე-3 გვ.).

უცხოეთში:
ინგლის-გერმანიის ომი (მე-4 გვ.).
ხმელთაშუა ზღვისა და აფრიკის ფრონტზე (მე-4 გვ.).
ცნობები ა. შ. შტატების შეიარაღების პროგრამის შესახებ (მე-4 გვ.).

# „სტალინუგოლის“ კომბინატის მაღაროელთა წერილი ამხანაგ სტალინს

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!**

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის უდიდესმა კომბინატმა „სტალინუგოლმა“, რომელიც საბჭოთა კავშირში ქვანახშირის ამოღების თითქმის ერთ მესამედს იძლევა, გადაჭარბებით შეასრულა მესამე ხუთწლედის მე-3 წლის სახელმწიფო გეგმა და გადიდებული დავალების შესრულებისათვის მომზადებული ხედვა ახალ სამეურნეო წელს.

ამ სასიხარულო დღეებში დონეცის მაღაროელებზე მუდმივი მამობრივი მზრუნველობისთვის საყვარულისა და მადლობის პირველი სიტყვით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო მშობლიურო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძეო.

ქვანახშირის დონბასის განვითარების მთელი ისტორია, მისი ადამიანების ზრდის შესანიშნავი ისტორია დაკავშირებულია თქვენს სახელთან, ამხანაგო სტალინ.

დონეცის მაღაროელთა ყოველი წარმატება ბრძნელი სტალინური მითითებათა შესრულების შედეგია.

სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში წითელი არმიის ძლევამოსილმა პოლკებმა გენიალური სტალინური გეგმით განაღდგურეს მტერი, გაათავისუფლეს დონბასი თეთრგვარდიელთა ურდოებისაგან. ლენინისა და სტალინის მიერ აღფრთოვანებულმა დონეცის მაღაროელებმა სძლიეს შიმშილსა და ნგრევას, აღადგინეს წყლით დაფარული მაღაროები, რათა მიეცათ ქვანახშირი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის ქარხნებისათვის, ფაბრიკებისათვის, ტრანსპორტისათვის. ქვანახშირის დონბასის გარდაქმნის ამ ბრძნული გეგმის თანახმად, რომელიც თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით იყო შემუშავებული, პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ეს შახტები უბრალო მიწისმთხრელთა მუშაობის ადგილებიდან რთულ მექანიზებებად ნამდვილ ყარხნებად გადაქციეს.

დონბასი — ჩვენი ქვეყნის ძირითადი ქვანახშირის ბასეინი — პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს.

ვინც იცნობდა ძველ მაღაროებს, ვინც რეგოლიცამდე მაღაროელს სპეციალ ცხოვრება გამოსცადა, მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია დღევანდელი სოციალისტური დონბასი, ის განსაკუთრებით ფასობს ყოველივე ამას, რაც ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთეს ჩვენთვის, მაღაროელებისათვის.

ცნობილმა მწერალმა ვერესაევმა თავის მოგონებებში სიმარილით ასწერა მაღაროელთა კატორღული შრომა, მათი გაჭირვება, შიმშილი, უუფლებობა.

„მიწა ნახშირს გიუშავებია. მთელს მაღაროში არც ერთი ხე არა სჩანს. ჩამწკრივებული ბინძური ქოხმახები — შუშათა სადგომები“.

ასე ასწერდა ვერესაევი კარპოვის რევოლუციამდელ მაღაროს, რომელიც იუზოკის მახლობლად მდებარეობს. ოთხკილომეტრი სოლა, რომელიც ერთადერთი იყო მთელს მაღაროში, რამდენმე წლის განმავლობაში მხოლოდ 72 მოწყალემ დაამთავრა და ისიც მტერნალად ახლო მდებარე სოფლების ყულაკთა შვილებმა. მთელს მაღაროში მხოლოდ ერთი ექიმი იყო. მაღაროს ერთადერთ კლუბში შუშებს ჯრ უშვებდნენ.

კარპოვის მაღაროებში მნგრეველს 12 საათის მომქანცველ შრომაში 1-დან 3 მანეთამდე ეძლეოდა, მიწისქვეშ მოპუშავე დანარჩენ მუშებს კი — 1 მან. 40 კაპიკიდან 1 მან. 60 კაპიკამდე.

ახლა ვეღარ იცნობთ ახლანდელ საბჭოთა პეტროვკას — კარპოვის ყოფილ მაღაროს. ხელახლადა შეიარაღებულია ძველ მაღაროები, აშენებულია ახალი შახტები. მძლავრად საბჭოთა ტექნიკამ შესცვალა კუსტარულობა. წარმოშვნენ კეთილმოწყობილი დაბები. პეტროვკის რაიონის შახტებმა წელს რამდენჯერმე მეტი ქვანახშირი ამოიღეს, ვიდრე კარპოვის ძველ მაღაროები იღებდნენ. პეტროვკაში 56 ათასი კაცი ცხოვრობს. მაღაროელებისათვის მომსახურების გასაწევად საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა 51 ბიბლიოთეკა, 9 კლუბი, კულტურის საუცხოო სასახლე, ბავშვთა 15 სკოლა, მიზნიდანა 4 სკოლა, ათობით მაღაზიები, სამკურნალო დაწესებულებანი. პეტროვკაში ამჟამად მუშათს ასობით იღებენი, მასწავლებელი, ექიმი; შეიქმნა ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის დიდი რაზმი.

კარპოვის მაღაროში წინათ მხოლოდ 11 გაზეთს და რამდენიმე ყურნალს იწერდნენ. ახლა საბჭოთა პეტროვკის მაღაროელები 10 ათას გაზეთს და 3 ათასზე მეტ ჟურნალს იწერენ.

და ასეა მთელს დონბასში.

დონბასი, რომელიც წარსულში უკულტურობის, სიბნელისა და უმეცრების მხარეს წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლებს ასრულებს წლებში ჩვენი დიადი სამშობლოს კულტურული, მოწინავე სამრეწველო ცენტრი გახდა.

დონეცის მაღაროელებისათვის გახსნილია კულტურის 25 სასახლე, 264 კლუბი და 1.113 წითელი კუთხე, 341 ბიბლიოთეკა, 200-ზე მეტი პარკი, ბაღი და კულტურის სხვა მრავალი კერა. მარტო 1940 წელს დონბასის მაღაროელთა კულტურული მომსახურებისათვის გადებულია 54 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო საცხოვრებელი სახლებსა, კომფორტულ და კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობისათვის 125 მილიონ მანეთზე მეტი დახარჯა.

ჩვენი ქვეყანა ზრუნავს მაღაროელთა ჯანმრთელობისათვის, იგი რამდენიმე მილიონ მანეთს იძლევა მათი მკურნალობისა და დასვენებისათვის. მიმდინარე წელს 87 ათასზე მეტი მაღაროელი იყო ყირიმისა და კავკასიის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. მაღაროელთა 20 ათასი ბავშვი სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში ისვენებდა.

წარსულს ჩაბარდა და არასოდეს არ დაბრუნდება ძველი კაპიტალისტური დონბასის ულსბარტული დღეები. იქ, სადაც წინათ სიღატაკე, შიმშილი და ჩაგრვა იყო გამეფებული, ახლა გაისმის მხიარული სიმღერები დონეცის თავიანთ მტერი, გაათავისუფლეს დონბასი თეთრგვარდიელთა ურდოებისაგან. ლენინისა და სტალინის მიერ აღფრთოვანებულმა დონეცის მაღაროელებმა სძლიეს შიმშილსა და ნგრევას, აღადგინეს წყლით დაფარული მაღაროები, რათა მიეცათ ქვანახშირი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის ქარხნებისათვის, ფაბრიკებისათვის, ტრანსპორტისათვის. ქვანახშირის დონბასის გარდაქმნის ამ ბრძნული გეგმის თანახმად, რომელიც თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით იყო შემუშავებული, პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ეს შახტები უბრალო მიწისმთხრელთა მუშაობის ადგილებიდან რთულ მექანიზებებად ნამდვილ ყარხნებად გადაქციეს.

დონბასი — ჩვენი ქვეყნის ძირითადი ქვანახშირის ბასეინი — პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს.

ვინც იცნობდა ძველ მაღაროებს, ვინც რეგოლიცამდე მაღაროელს სპეციალ ცხოვრება გამოსცადა, მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია დღევანდელი სოციალისტური დონბასი, ის განსაკუთრებით ფასობს ყოველივე ამას, რაც ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთეს ჩვენთვის, მაღაროელებისათვის.

ცნობილმა მწერალმა ვერესაევმა თავის მოგონებებში სიმარილით ასწერა მაღაროელთა კატორღული შრომა, მათი გაჭირვება, შიმშილი, უუფლებობა.

„მიწა ნახშირს გიუშავებია. მთელს მაღაროში არც ერთი ხე არა სჩანს. ჩამწკრივებული ბინძური ქოხმახები — შუშათა სადგომები“.

ასე ასწერდა ვერესაევი კარპოვის რევოლუციამდელ მაღაროს, რომელიც იუზოკის მახლობლად მდებარეობს. ოთხკილომეტრი სოლა, რომელიც ერთადერთი იყო მთელს მაღაროში, რამდენმე წლის განმავლობაში მხოლოდ 72 მოწყალემ დაამთავრა და ისიც მტერნალად ახლო მდებარე სოფლების ყულაკთა შვილებმა. მთელს მაღაროში მხოლოდ ერთი ექიმი იყო. მაღაროს ერთადერთ კლუბში შუშებს ჯრ უშვებდნენ.

კარპოვის მაღაროებში მნგრეველს 12 საათის მომქანცველ შრომაში 1-დან 3 მანეთამდე ეძლეოდა, მიწისქვეშ მოპუშავე დანარჩენ მუშებს კი — 1 მან. 40 კაპიკიდან 1 მან. 60 კაპიკამდე.

ახლა ვეღარ იცნობთ ახლანდელ საბჭოთა პეტროვკას — კარპოვის ყოფილ მაღაროს. ხელახლადა შეიარაღებულია ძველ მაღაროები, აშენებულია ახალი შახტები. მძლავრად საბჭოთა ტექნიკამ შესცვალა კუსტარულობა. წარმოშვნენ კეთილმოწყობილი დაბები. პეტროვკის რაიონის შახტებმა წელს რამდენჯერმე მეტი ქვანახშირი ამოიღეს, ვიდრე კარპოვის ძველი მაღაროები იღებდნენ. პეტროვკაში 56 ათასი კაცი ცხოვრობს. მაღაროელებისათვის მომსახურების გასაწევად საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა 51 ბიბლიოთეკა, 9 კლუბი, კულტურის საუცხოო სასახლე, ბავშვთა 15 სკოლა, მიზნიდანა 4 სკოლა, ათობით მაღაზიები, სამკურნალო დაწესებულებანი. პეტროვკაში ამჟამად მუშათს ასობით იღებენი, მასწავლებელი, ექიმი; შეიქმნა ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის დიდი რაზმი.

კარპოვის მაღაროში წინათ მხოლოდ 11 გაზეთს და რამდენიმე ყურნალს იწერდნენ. ახლა საბჭოთა პეტროვკის მაღაროელები 10 ათას გაზეთს და 3 ათასზე მეტ ჟურნალს იწერენ.

და ასეა მთელს დონბასში.

დონბასი, რომელიც წარსულში უკულტურობის, სიბნელისა და უმეცრების მხარეს წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლებს ასრულებს წლებში ჩვენი დიადი სამშობლოს კულტურული, მოწინავე სამრეწველო ცენტრი გახდა.

ფულელმა კონის სტალინის შახტის ამშენებლმა, ნიკოლოზ კრავცოვმა, რომელიც ალექსი სტაგოლოს ეჯგბრები, პირველმა გამოიყენა სახერეგის გაშენიდის ჩქარი მეთოდი და გამოიშენა ბოლოს ნორმა რეანაზეკარჯენ გადამეტებით შეასრულა. მის მაგალითს მიბაძა „მაკეევუგოლის“ ტრესტის შახტ „სოფიას“ ამშენებლმა ამხ. ბაპოკალეკმა, რომელიც გამომუშავებს თავის ნორმას 1.000—1.500 პროცენტით ასრულებდა. „ჩისტიაკოვკენტრაციტის“ ტრესტის № 3-ბის შახტის მბურღავი პეტრე მალენოვსკი შტრეკების მოვალეობაგრეკვიან შემოტურტლვაზე გადავიდა და ათ-ათი ნორმის შესრულება იწყო.

მუშაობის ჩქარ მეთოდზე გადასვლაში შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ ინჟინრები და ტექნიკოსები. „მაკეევუგოლის“ ტრესტის კაგანოვიჩის სახელობის შახტის ინჟინერმა ამხ. ზახაროვიჩმა ქარნის გათხრის მრავალსაბაგრეკვიანი მეთოდი გამოიყენა, რის შედეგადაც 100-მეტრიანი ქარნები, 3 თვის ნაცვლად, რაც გეგმით იყო ნავარაუდევი, სულ 7 დღის განმავლობაში გაიარა. ამ მოწინავე მეთოდების გამოცდილება ასეთივე წარმატებით გამოიყენეს „ჩისტიაკოვაუტრაციტის“ ტრესტის № 30 შახტაში და ჩვენი ოლქის სხვა შახტებში.

კოლექტიური სტახანოვური მუშაობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან უბნები და მეფილი შახტები, რომლებმაც ქვანახშირის ამოღება მოაწყეს ციკლურობის გრაფიკით, — მეშახტეთა მაღალაყოფიერი შრომის ამ საფეხვლეზე, რაზედაც ჩვენ მიგვითითა თავის გადაწყვეტილებებში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ისტორიულმა ყრილობამ. „სტალინუგოლის“ ტრესტის ჩელუსკინსკოლის სახელობის № 1 შახტის უბნის კოლექტივი, რომელსაც ინიციატივაში იჩენენი ალ. ბუსილენი ამხ. კოპანეველი ხელმძღვანელობს, თავის 150-მეტრიან ლავაში ყოველ თვეში 41-42 ციკლს აკეთებს და გეგმის გადამეტებით იძლევა ათასობრით ტონა ქვანახშირს. ამ ლავის ყველა ამწოვნები გამომუშავების ნორმებს სულ ცოტა 160 პროცენტით ასრულებს და თვითეული მათგანი თვეში 1.500 მანეთს აკეთებს.

დონბასის „სნეჟნიანტრაციტის“ ტრესტის სტალინის სახელობის № 18 ლენინის ორდენოსან უდიდეს შახტაში ციკლურობის სისტემით მუშაობს თითქმის ყველა ლავა. „ჩისტიაკოვკენტრაციტის“ ტრესტის № 7-ბის შახტაში და № 19 შახტ „სნეჟნაიაში“ და ბევრ სხვა შახტაში ციკლურობის გრაფიკით პირველად მუშაობს ყველა ლავა და გეგმის დიდი გადაძალებით ასრულებს.

ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის IV კვარტალში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას ლავებისა და შახტების მუშაობის რეჟიმის შესახებ —ამოღების ორს ცვლაზე და რემონტის ერთს ცვლაზე ლავების გადაყვანის შესახებ. იქ, სადაც ეს ბოლშევიკური შახტების ხელმძღვანელები ამ დადგენილებას მოფიქრებულად და სანირო მომზადებით ასრულებენ, ტაკეთრად გაიძულებენ ლეგმთამდენ ეკონომიებსა ამოღებულ ნაგრაბებს მდგომარეობა, ბულმოდგინედ მზადდება სამუშაო ადგილი და, როგორც ამის შედეგი, მიღწეულია შრომის ნაყოფიერებისა და ქვანახშირის ამოღების დიდი ზრდა.

„სტალინუგოლის“ ტრესტის მოლოტოვის სახელობის № 4/21 შახტის № 56 ლავაში ორცვლიან მუშაობაზე გადასვლის შემდეგ სანგრეკვია მუშების შრომის ნაყოფიერება 20 პროცენტით გიზარდა. ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება 17 პროცენტით გადიდდა. ამავე შახტის № 55 ლავაში, ორცვლიან გრაფიკზე გადასვლის შედეგად, სანგრეკვია მუშების შრომის ნაყოფიერება 34 პროცენტით გიზარდა, ხოლო ქვანახშირის ამოღებამ 15-ზე მეტი პროცენტი იმატა.

სახელმწიფოს დიდ ზარალს აძლევდნენ ჩვენი ოლქის შახტები, ისევე როგორც მთელი დონბასის შახტები; ქვანახშირის დაბალი ხარისხის გამო რკინიგზის ათობით და ასობით ვაგონებს ეტვირთავდით ისეთი ფუფუნ ქანების მიმოზიდვით, რომლებიც არავის არ ესაჭიროება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 10 იანვარს ბრძანებულებამ დაამბადა ბალვეწონა ამ მხრივაც მიგვეღწია საკმაო არსებითი შედეგებისათვის. ამ უკანასკნელ თვეებში ამოღებული ქვანახშირის ხაკრიანობა დაწესებულია სტანდარტებზე ნაკლებია. მნიშვნელოვნად გიზარდა იმ შახტების რაოდენობა, რომლებიც პრემიას იღებენ ქვანახშირის მაღალი ხარისხისათვის. შემცირდა ქვანახშირის თვითღირებულება. ჩვენი მოწინავე შახტები; „ბუდიონოვეგოლის“ ტრესტის „პრავდის“ სახელობის № 12-18, „ორჯონიკიძეგოლის“ ტუტუის — „იუნი კიმუნარი“, „ჩისტიაკოვკენტაციტის“ ტრესტის № 3-ბის და მრავალი სხვა შახტი მნიშვნელოვან მოგებას იძლევიან. ამ შახტების ხელმძღვანელები გეგიზენეენ მოწყობილობისადმი ზრუნველობით მოპყრობისა და მატერიალურ ფასეულობათა დაზოგვით დახარჯვის მაგალითს.

ასეთია ჩვენი პირველი წარმატებანი. გიამბობთ რა მათ შესახებ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, არცერთი წუთითაც არ ვეიწყნარებთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, რომ წინ კიდევ მრავალი გადაუწყვეტელი ამოცანა გვაქვს. მათი განხორციელებისათვის ჩვენ ვიმეშვეობთ ერთსულოვნად, მთელი ენერგიით, სიმტკიცით, როგორც ეს სჩვეოდა ბოლშევიკებს, და ახალ-ახალ, კიდევ უფრო შესანიშნავ წარმატებს მოვიპოვებენ.

ახალ სამეურნეო წელს, III სტალინური ხუთწლედის IV წელს ჩვენ შემდეგ უმთავრეს ამოცანებს ვისახავთ.

1. ეიმუშაოთ, უწინარეს ყოვლისა, შახტების საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამისათვის მთელი ჩვენი სამეურნეო, ტექნიკური და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ყურადღებას ცენტრში დავაყენებთ ლავას, როგორც ქვანახშირის მრეწველობის ისეთსავე ძირითად საწარმოო აგრეგატს წარმოადგენს, როგორც ბრძენიდან მარტენის ღუმელი მეტალურგიაში. ლავების სიმძლავრის სავსებით გამოყენებას, მათს რეგულარულ ციკლურობას ჩვენ დავუმეორებლებთ ქვანახშირის ამოღების ტექნოლოგიური პროცესის ყველა დანარჩენ რგოლს სანგრეკვიდან ზედაპირამდე.

სსრ კავშირის საბჭომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებამ „ამოღების ორ ცვლაზე და სარემონტო-მოსამზადებელ ერთ ცვლაზე ლავების გადაყვანის შესახებ“ ყველა საჭირო პირობები შეაქმნა ასეთი კულტურული ორგანიზებული მუშაობისათვის, ციკლურობის გრაფიკის მიხედვით მუშაობაზე ფართოდ გადასვლისათვის. ლავების მუშაობის შემოღებული რეჟიმის დარღვევას ჩვენ ისე შევაფასებთ, როგორც ტექნოლოგიური დისციპლინის ჩაშლას და გადაჭრით აღვკვეთავთ მას.

2. პარტიამ და მთავრობამ უდიდესი სახალხო-სამეურნეო ფასეულობანი გადასცეს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა განკარგულებაში. ვასრულებთ რა თქვენს, ამხანაგო სტალინ, მითითებებს — თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ ხალხის ფოცალსა, — ვალდებულებას ვკისრულობთ სრულს წესრიგში მოვიყვანოთ ყოველი სამთამადნო გვირაბი შახტები, ყოველი მანქანა, და მუდამ სანიმუშო მდგომარეობაში ვიქონიოთ ისინი, რადგან ეს არის მტკიცე სამიდო მუშაობის, შრომის ნაყოფიერების და ქვანახშირის ამოღების ბანურელად გადიდების გადამწყვეტი პირობა.

3. ჯერ კიდევ დიდია ჩვენს შახტებში სამუშაო დროის დაკარგვა. ჩვენ ამოცანად ვისახავთ ისე მოვაწყოთ საქმე, რომ სამუშაო დღის 480-ვე წუთი საწარმოო მუშაობას ხმარდებოდეს. ხოლო ეს ერთადერ კიდევ მოითხოვს დაწესებული ტექნოლოგიური რეჟიმისა და რეკონსტიტუციური შრომის დისციპლინის უსასტიკესად დაცვას თავიდან ბოლომდე. ურღვევი დისციპლინისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღვზრდიდ ჩვენს ახალგაზრდა შვესებას — საფაბრიკო-სავარხნო სწავლების სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებელთა მოსწავლეებს, გადავცემთ მათ ძველი კადრის მაღაროელთა საუკეთესო ტრადიციებს.

4. ზამთარი სერიოზული გამოცდა ქვანახშირის მუშაკთათვის. წარსულ ზამთარს, ზოგიერთი ხელმძღვანელის უდარდელობის გამო, რომელთაც არ მოამზადეს შახტები ქარბუქისა და ყინვებისათვის: ისიათასობით ტონა ქვანახშირი დავკარგეთ, ახლა ჩვენ მესამედ ვამოშენებთ ჩვენი შახტების მზადყოფნას ზამთრის პირობებში შეეფერხებელი მუშაობისათვის, ვასწორებთ აკა-ინ დარჩენილ ნაკლს, რათა ვერაფერთრმა ყინვამ და ქარბუქმა ვერ შეაჩეროს შემდგომი აღმავლობა.

1941 წელი იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამეფოლეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი ზრდის წელიწადი. ფიფი შევდგომი რა ამ სამეურნეო წელში, ჩვენ, იმ კომბინატის შახტებმა, მაღაროელნი, რომელიც დიდი სტალინის შობლიერ და საყვარელ სახელ ატარებს, ვიბრძოლეთ ქვანახშირის ამოღების, სარეზერვიდან გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სრულიად - საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილის მოპოვებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ყველა საქვანახშირო აუზის მუშებს, მუშა-ქალებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს, კოლეგა ოთ მაღაროელთან ერთად ჩვენ მივმართავთ მოწოდებით: კიდევ უფრო ფართოდ გაგაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, ახალი ფრონტ ელ დღეებიდანვე უზარეველ ჰყოს წლიური საწარმოო პროგრამის გადამეტებით შესრულება, ქვანახშირისა და მადნის ამოღების ახალი მძლავრი ალმაღლობით შებრძოლეთ თვითმფრინავთა ახალ-ახალი ესკადრილიები ფაშისტინ ფინეთ ცაში, რათა დღეთ-დღე უფრო საამური და ლამაზი გახდეს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ, დონეცის მაღაროელნი, სამშობლოს მოვიცემთ იმდენ ქვანახშირს, რამდენსაც იგი მოითხოვს ჩვენგან.

მაღაროელებისადმი მიძღვნილ სიმართლის ამსახველ სტრიქონში „დიდი ცხოვრება“ ძველი მაღაროელი კოზოდოევი ახალგაზრდა მუშას უთხარა: „მერე შენ იცი ვინ ვართ ჩვენ, მაღაროელნი? აი ელექტროშუქი — ამას ჩვენ, მაღაროელნი ვანთებთ... მატარებლები ყოველი მიმართულებით მიპქრიან, —ამ მატარებლებს ჩვენ ვამოძრავებთ, მთელს ჩვენს ქვეყანაში მაღაროელნი. პატივით ეკუთვნიან, და მაღაროელი მოვალეა ესმოდეს, თუ რას წარმოადგენს იგი ჩვენს ქვეყანაში“.

ჩვენს ქვეყანაში სიტყვა მაღაროელი ამაყად გაისმის და ამას უნდა გიმადლოდეთ თქვენ, ჩვენო მამავ და მშენებელნო, იოსებ ბესარიონის-ძეო! სწორედ თქვენ ასწიეთ მაღლა საბჭოთა მაღაროელის შრომითი ღირსება, სწორედ თქვენ შემოსეთ დიდების სხივით მისი სახელი, სწორედ თქვენ შეგმისეთ პატივით მისი შრომა.

1940 წელმა ჩვენ ბევრი შესანიშნავი წარმატებები მოგვეცა: გადადიდა ჩვენი სამშობლოს ძლიერება. დიადი საბჭოთა ნაციონალურ-სუფთალით წითელმა პოლკებმა საზღვარი გადალახეს და გიანთავისუფლეს ბეგნიერება მოეტაბეს ჩვენს თვისტომ ძმებს, რომელიც რუმინელ მბრძანელთა უღლის ქვეშ ტანჯვებოდნენ; ღვიძლი ძმებივით მიიღო საბჭოთა ხალხმა თავის ოჯახში ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ხალხები. კაპიტალისტური მსოფლიო იძულებულ გახდა შეეფიროთ ფინეთ. თავისა სამშობლოს უმიშროებისათვის ბრძოლაში ჩვენმა წითელმა არმიამ ერთხელ კიდევ დაანახვა მთელს მსოფლიოს, რომ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომელის ალმაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ.

თქვენნ, ამხანაგო სტალინ, ბრძნულად ხელმძღვანელობთ საბჭოთა ხალხსა უდიდეს გამარჯვებებს მიიღწევა! თქვენ წინამძღოლობით ჩვენ მტკიცედ გავწევთ კომუნიზმის ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ!

ამჟამად ჩვენს შახტებში მუშები და მეთაურები ერთმანეთს ეჯიბრებიან იმისათვის, რომ ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებენი შეგიგზავნონ ამ ნიშნით, ამ ნიშნ, ამ ნიშნ, ამ ნიშნ

# უკრაინის სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაღიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ უკრაინის სს რესპუბლიკის სოფლის, მეურნეობაში, საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონგრესის გადწყვეტილებათა საფუძველზე, მესამე ხუთწლიანური ხუთწლედის განმავლობაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების განვითარებისა და განმტკიცების, მოსავლიანობის გაღიდებისა, საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების განვითარების, საზოგადებრივი ფონდების შექმნისა და კოლმეურნე გლეხობის კეთილშობილ მატერიალურ-კულტურული დონის საერთო ამაღლების საქმეში.**

**მიღწეულია სერიოზული წარმატებანი საკოლმეურნეო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საქმეში, გადიდდა კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერება.**

**კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაგებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ, კოლმეურნეობებში საზოგადებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში ცვლილებათა შეტანის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებათა შესრულების შედეგად, უკრაინის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1940 წელს, 1938 წელთან, მესამე ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა გადიდდა 33 პროცენტით, მზესუმზრაესი — 44 პროცენტით, კარტოფილისა—42 პროცენტით; მნიშვნელოვნად გაიზარდა შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა.**

**1939 და 1940 წლების მანძილზე საკოლმეურნეო ფერმებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 70 პროცენტით, ღორისა—83 პროცენტით, ცხვრისა —101 პროცენტით. უკრაინის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა 94 პროცენტზე მეტს მეცხოველეობის სამსახი და მეფრინველეობის თითო ფერმა აქვს.**

**კოლმეურნეობათა მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ეს სამეურნეო წარმატებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კოლმეურნეობებში, რომლებმაც სწორად მოაწყეს კოლმეურნეთა შრომა ბრიგადებსა, რგოლსა და ფერმას შეუძლია მიიღოს დიდი მოსავალი, გაზარდოს მეცხოველეობის პროდუქტიულობა, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს კოლმეურნეობის შემოსავლიანობასა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებას.**

**მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ მოწინავე კოლმეურნეობებს, ბრიგადებსა და რგოლებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ დიდი მოსავლისა და მეცხოველეობის დიდი პროდუქტიულობის მიღების საქმეში, ჯერ კიდევ საკმოდ ფაფოოდ არა ხდება მათი გამოცდილების გავრცელება.**

**კოლმეურნეობებში იმ მოწინავე რგოლებთან და ბრიგადებთან ერთად, რომლებიც მაღალ მოსავლის იღებენ, მოიპოვებიან ისეთი ბრიგადები და რგოლები, რომლებიც ერთსაადამავე პირობებში მცირე მოსავლის იღებენ.**

**საკოლმეურნეო წარმოებაში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების უფრო ფართოდ გამოყენების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა მილიონად ოლქებსა და რესპუბლიკებში შეიძლება ბევრად გადიდდეს.**

**სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ერთერთ სერიოზულ მიზეზს, რაც ხელს უშლის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ გადიდებას, წარმოადგენს იმ მოწინავე კოლმეურნეთა შრომის არასრული ანაზღაურება, რომლებიც უხვ მოსავალს და მეცხოველეობის დიდ პროდუქტიულობას იღებენ.**

**კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების არსებული წესის დროს კოლმეურნეობებში სამეურნეო წლის შედეგების განაწილება ზოლოდ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მიხედვით ხდება. მუშაობის ხარისხის, ბრიგადის ან რგოლის მიერ მიღებული მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მიხედვით ეს ხდება ძალიან იშვიათად.**

**მუშაობის შედეგების ხარისხის მხედველობაში მიუღებლად კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურებისას მოწინავე, პატიოსნად მომუშავე კოლმეურნეები, რომელნიც მარცვლეული, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უხვ მოსავალს იღებენ, აგრეთვე კოლმეურნეები, რომელთაც მეცხოველეობის პროდუქტიულობის მხრივ მაღალი მაჩვენებლები აქვთ, არახელსაყრელ პირობებში არიან ან კოლმეურნეებთან შედარებით, რომელნიც ცუდად მუშაობენ და მცირე მოსავალს იღებენ.**

**ბრიგადებისა და რგოლების კოლმეურნეებს, რომელნიც დროულად და ძალაუხარისხოვნად ასრულებენ მინდვრის სამუშაოებს და შედეგად უხვ მოსავალს იღებენ, ხშირად ისეთივე ან უფრო ნაკლები შრომის საზღაურეა კი ეძლევათ, ვიდრე იმავე კოლმეურნეობის ბრიგადებისა და რგოლების იმ კოლმეურნეებს, რომელნიც, იმის მიუხედავად, რომ მეტ შრომას ხარჯავენ მინდვრის დასამუშავებლად, უფრო მცირე მოსავალს იღებენ. ეს არის მინდვრის სამუშაოთა ცუდად და არათანაბრიზრუნ შესრულების შედეგი.**

**ვინიცის ოლქის კომსომოლცის რაიონის კოლმეურნეობა „ავტორადა პიატილეტკაში“ ს. ვოიტიუკის რგოლმა 2,5 ჰექტარ შაქრის ჭარხლის ფართობის თითო ჰექტარზე 136 ცენტნერი მოსავალი აიღო, ამასთან დახარჯა 370 შრომადღე, ხოლო ა. სკრიპნიკის რგოლმა ასეთსავე ფართობის თითო ჰექტარზე 211,5 ცენტნერი აიღო და 350 შრომადღე დახარჯა. შრომადღის თანაბარი ანაზღაურების შედეგად ა. სკრიპნიკის რგოლს, რომელმაც 56 პროცენტით მეტი მოსავალი აიღო, შრომადღეებზე უფრო ნაკლები ფული, მარცვალი და სხვა პროდუქტები ეძლევა, ვიდრე ვოიტიუკის რგოლს.**

**ჩერნიგოვის ოლქის ლოსინოვკის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნე ქალის ე. ზოიკენკოს რგოლს, რომელმაც 1940 წელს 0,20 ჰექტარ ფართობზე 7 ცენტნერი წეკო აიღო, 39 შრომადღე დაუჩიოდა, ხოლო კოლმეურნე ქალის უ. კარნაუხის რგოლს ასეთსავე ფართობზე 1,43 ცენტნერი წეკოს მოსავლისათვის 40 შრომადღე დაერიცხა. შრომადღის თანაბარი ანაზღაურების შედეგად ე. ზოიკენკოს რგოლს, რომელმაც თითქმის 5-ჯერ მეტი მოსავალი აიღო, შრომადღეებზე უფრო ნაკლები მარცვალი და სხვა პროდუქტები ეძლევა, ვიდრე უ. კარნაუხის რგოლს.**

**ასეთი ფაქტები არის აგრეთვე იმ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში, რომელნიც მეცხოველეობის ფერმებში მუშაობენ.**

**ამ გამო ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის დიდი შესაძლებლობა, რაც კოლმეურნეობებში არსებობს, არასაკმაოდ არის გამოყენებული.**

**სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნიათ კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით შრომის ანაზღაურების გარდა, უკრაინის სსრ კოლმეურნეობებში შემოღებულ იქნას კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მიხედვით.**

**ამ წესის დროს კოლმეურნეობებში ლაკვიდირებული უნება მოწინავე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში არსებული უსამართლობა, რადგან გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მიხედველობაში მიღებასთან ერთად მხედველობაში იქნება მიღებული მუშაობის ხარისხობრივი მხარეც, მხედველობაში იქნება მიღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.**

**შრომის ანაზღაურების ეს წესი ახალ სტიმულებს შექმნის კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, გაადვილებს კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის პროდუქციის გადიდებით, რაც სწორად შეახებებს სახელმწიფოს, კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა ინტერესებს.**

**მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ყოველწლიურად გადიდების მიზნით, ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის საბჭოთა კავშირის კოლმეურნეთა და ყველა შრომელთა სულ უფრო-და-უფრო მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:**

**1. რჩება მიეცეს კოლმეურნეობებს, დაწესებული 1941 წლიდან, ნატურით ანლოინ ან ფულით ფიზიკურიერ ბრიგადებისა და რგოლების კოლმეურნეებს, შრომადღეების დაწესებული ანაზღაურებისა ბარგა, იმ პროდუქციის ნაწილი, რომელიც ბრიგადამ, რგოლმა მიიღო მარცვლეული, ტექნიკური, ბოსტნეული და საკვები კულტურების მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით, აგრეთვე წველადობის, საქონლის გამოზრდილი და გასულების ან მეცხოველეობის სხვა მაჩვენებლების საგეგმო დავალებთა გადამეტებით.**

**2. შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სხვა ტექნიკურ კულტურებზე რგოლებსა მუშაობის დადებითი გამოცდილების საფუძველზე, რჩება მიეცეს კოლმეურნეობებს ყველგან მოაწყონ რგოლები საწარმოო ბრიგადებში და მიამაგრონ მათ ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის, ფეტვის, სიმინდისა და სხვა იმ სათოფნი კულტურების განსაზღვრული სთოესი ფართობები, რომელთა ნაწილი — მოყვანა ხელით მუშაობის მნიშვნელოვან გამოყენებას მოითხოვს.**

**უშუალოდ მთელს ბრიგადას მიემაგროს მარცვლეული და სხვა ის არასათოხნი კულტურები, სადაც მინდვრის თოიმქის მთელი სამუშაოები ძლიერ მექანიზებულია და მეს-ების მარკანტიან ან ბრიგადის ინვენტარითა და ცოცხალი გამწევი ძალით სრულდება, სადაც ნიადაგის მომზადება და თესვა უმთავრესად ტრაქტორებით სწარმოებს, კულტურების მოვლა შრომის უმნიშვნელო დანარჯვას მოითხოვს, მოსავლის აღება ძირითადად ხდება კომბაინებით, რომელთა სწორი გამოყენება დიდ ფართობს მოითხოვს, ხოლო მარტივი მანქანებით მოსავლის აღებისას — გალეწვაში მონაწილეობს კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.**

**3. დაწესდეს მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი საზღაური შემდეგი ოდენობით:**

**მარცვლეულ კულტურების დარგში მემინდვრეობის ბრიგადის კოლმეურნეებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ბრიგადაზე მიმაგრებული მარცვლეული კულტურებს. მთელი ფართობის მოსავლიანობის გეგმა, ეძლევათ ბრიგადისათვის დაწესებული გეგმის გადამეტებით მის მიერ აღებული მარცვლეულის მთელი რაოდენობის მეათედი.**

**ბრიგადის კოლმეურნეებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ერთი ან რამდენიმე მარცვლეული, კულტურის მოსავლიანობის გეგმა, დამატებითი საზღაური ეძლევათ იმ შემთხვევაში, თუ მათ შეასრულეს ბრიგადაზე მიმაგრებული მარცვლეული კულტურების ნათესის მთელი ფართობის მოსავლიანობის გეგმა.**

**რგოლის კოლმეურნეებს, რომლებმაც რგოლზე მიმაგრებულ სთოეს ფართობზე გადაჭარბებით შეასრულეს ფეტვისა და სიმინდის მოსავლიანობის გეგმა, ეძლევათ რგოლებისათვის დაწესებულ მოსავლიანობის გადამეტებით აღებული ამ კულტურების მარცვლეულის მეოთხედი.**

**მზესუმზირა, სოია, რაფსი და საზეთე სელი.** **რგოლების კოლმეურნეებს, რომლებმაც რგოლებზე მიმაგრებულ სთოეს ფართობზე გადაჭარბებით შეასრულეს მზესუმზირისა და სოიას მოსავლიანობის გეგმა, და მემინდვრეობის ბრიგადების კოლმეურნეებს, რომლებმაც ბრიგადაზე მიმაგრებულ სთოეს ფართობზე გადაჭარბებით შეასრულეს რაფსისა და საზეთე სელის მოსავლიანობის გეგმა, ეძლევათ რგოლისა და ბრიგადისათვის დაწესებული მოსავლის გადამეტებით აღებული თესლის მესამედი.**

**აბუსალათინი.** **რგოლის კოლმეურნეებს, რომლებმაც რგოლზე მიმაგრებულ სთოეს ფართობზე აბუსალათინის მოსავლიანობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, დამატებითი საზღაური მიეცეთ ნატურით იმ მარცვლეულის ნახევარი რაოდენობით, რომელიც საბელმწიფოსაგან ერგება კოლმეურნეობას რგოლის მიერ გეგმის გადამეტებით აღებული აბუსალათინის თესლისათვის.**

**შაქრის ჭარხალი.** **რგოლზე მიმაგრებული სთოესი ფართობის მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით მიღებული შაქრის ჭარხლის თვითეულ ცენტნერ ჭარხალზე კოლმეურნეებს დამატებითი საზღაური ეძლევათ ფულად, ერთ ცენტნერ ჭარხალზე კოლმეურნეობაში არსებული საშუალო ღირებულების (ჭარხლის მიერ ბადადილის) 50 პროცენტის ოდენობაზე; ამაში შედის ძირითადი საზღაური და პრემიაწარმატი, რომელიც კოლმეურნეობას ეძლევა ჭარხლისათვის ჭარხლის ჩაბარების გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის.**

**ბამბა.** **რგოლზე მიმაგრებული სთოესი ფართობის მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით აღებულ თვითეულ ცენტნერ ბამბაში ამ რგოლის კოლმეურნეებს დამატებითი საზღაური ეძლევათ ფულად ერთ ცენტნერ ბამბაზე კოლმეურნეობაში არსებული საშუალო ღირებულების (ბამბის დამპაზნ. პუნქტის მიერ გადახდილის) 50 პროცენტის ოდენობაზე; ამაში შედის ძირითადი საზღაური და პრემიაწარმატი, რომელიც კოლმეურნეობას ეძლევა კონტრაქტაციის გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის.**

**ხაბაზეული სელი, შუა რუსეთისა და სამხრეთის კანაფი.** **რგოლების კოლმეურნეებს, რომლებმაც რგოლებზე მიმაგრებულ სათეს ფართობზე გადაჭარბებით „შეასრულეს სამუშაო სელის ან შუა რუსეთისა და სამხრეთის კანაფის მოსავლიანობის გეგმა, ეძლევათ თვითეული რგოლისათვის დაწესებული გეგმის გადამეტებით აღებული ბოჭკოსა და თესლის მესამედი.**

**მეთესლეობის კოლმეურნეობათა იმ რგოლების კოლმეურნეებს, რომლებმაც რგოლზე მიმაგრებულ სათეს ფართობზე გადაჭარბებით შეასრულეს ერთი ან ორი ერნინი ბალახების, ბუნებრივი სათიბებისა და საკვები ძირზვენების მოსავლიანობის გეგმა, ეძლევათ ბრიგადისათვის დაწესებული გეგმის გადამეტებით აღებული ამ საკვები კულტურების მოსავლის მესამედი.**

**გეგმით დაწესებული მოსავლის გადამეტებით ბრიგადაზე მიმაგრებულ ფართობზე აღებულ და სახელმწიფოსთვის სახშეყიდვით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ სამყურის, იოსეფიანა და ესპარცეტის თესლში გაცემულ ერთ ცენტნერ თესლზე კოლმეურნეობაში არსებული საშუალო ღირებულების მესამედი; ამაში შედის ძირითადი საზღაური და პრემიაწარმატი, აგრეთვე პურის მესამედი, რაც დამამზადებლებისაგან აიღო კოლმეურნეობამ ამ თესლში.**

**4. დაწესდეს მეცხოველეობის ფერმებში მოშენაკი კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება. წველის, მოზარდეულის გამოზრდის, გასუქების, მატყლის ჩარსვის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სხვა მაჩვენებლების საგეგმო დავალებათა გადამეტებით შესრულებისათვის შემდეგი რაოდენობით:**

